

რობო კავშირს, ხოლო სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირს ორი მილიონი და ას ორმოცდა ოთხი ათასი მანეთი. ამ კავშირებმა მიღებული თანხა კვლავინდებურად დაჭირდა ავადმყოფებს უნდა მიახმარონ.

ზისნი, 24 ივნ. „ალბატროსის“ დატყვევებულ მეზღვაურებს შევადგენთ ქვეითი ჯარი, სდარაჯობს, ოფიცერებს შევადგენ ოფიცერები თვალყურს ადევნებენ. მათ შეჰფიცეს, რომ არ გაიპარებიან. ერთმა უნტერ-ოფიცერმა საჯაროდ განაცხადა, რომ თუ კი დრო ვიხელთეთ, უშეშვლად ტყვეობიდან გაგვექცევიოთ. იმ შიშით, რომ ჯავშნოსანი „ალბატროსის“ შეიძლება ქარიშხლისგან დაზიანდეს, ერთმა მიმწველებელმა საზოგადოებამ გადაწყვიტა წყლიდან მალა ამოსწიოს და ბუქსირით გოტლანდის ნავთსადგურში მიიყვანოს.

ბრიტან. რუსეთ-იაპონიის კავშირის გამო ბევრს ლაპარაკობენ პოლიტიკური მოღვაწენ. ლიდერმა ინუკიმ პარტიის კრებაზე აღნიშნა, რუსეთ-იაპონიის კავშირის აუცილებელი საჭიროება, რათა უზრუნველ ჰქონ იაპონიისა და რუსეთის ინტერესი მანჯურიაში და მონგოლეთში. რუსეთ-იაპონიის კავშირი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ინგლისსა და იაპონიის კავშირის საკითხებს.

ბრიტან. 24 ივნისი. შემოწმებულ ცნობით ოსმალნი გალიპოლისის კუნძულზე უკან იხევენ. მართლდება ის ცნობა, რომ გერმანელები საელჩოს სამხედრო წარმომადგენელი ლაინციგერი უკანასკნელ დიდ ბრძოლის დროს კოიციასთან დაჭირდნენ. სხვა გერმანელ ოფიცერებთან ერთად იგი ხმელეთით კონსტანტინოპოლში გაიხტა. გზაში ოსმალებს ტყვია მოხვდა და გარდაიცვალა. კონსტანტინოპოლში ლაინციგერი დიდის ცერემონიით დაკრძალეს.

დანამდვილებით გაუგიათ, რომ გერმანელების პაეროპლანი წარსულ კვირას ოსმალთა ტერიტორიაზე დაშვებულა. იგი ბუქარესტიდან ბულგარეთის საზღვრით გადასულა. ამტყუარებს, რომ ამანარი გზით ოსმალეთში უკვე ექვსი მფრინავი გადასულა.

ესად ფაშამ 28 ალბანელი და რამდენიმე ახალგაზრდა ოსმალთა პარტიის აფიცერი სიკვდილით დასაჯა. 50 სიკვდილით დასაჯა გადაწყვიტა. ამრიგად ესად-ფაშამ დურაცოსა, ტირანსა და ელმასანში წესიერება აღადგინა.

ის ამბავი, ვითომ გენერალი სანდერსი კრიტის სიმაღლისთან ბრძოლის დაწყებამდე დაჭრილიყო, ტყუილი გამოდგა. იგი ერთსა და იმავე დღეს დაიჭრა ლაინციგერთან.

სირიელთა ჯარი 20,000-მდეა. იგინი ნაპირებს იცავენ.

სტოკჰოლმი, 24 ივნისი. შევედური ვაჭრები „სტოკჰოლმს დაგლატ“ ასეთ აზრს გამოთქამენ იმის შესახებ, რომ უცხოეთის პრესა ცდილობს თავისი გავლენა მოახდინოს შევეციის საზოგადოებრივ აზრზე, თავისი სიმპათია მოახვიოს შევეციის ხალხს; „ამგვარი ცდა ნაყოფი იმ გარემოებისა, რომ სრულიად არ იცნობენ არც შევეციის ხალხის ხასიათს და არც შევეციის პოლიტიკას. თუ ანგარიშს გავუწევთ იმ ქამანდებს, რაც ბალკანეთის სახელმწიფოებში იხმარეს მებრძოლმა მხარეებმა, დავრწმუნდებით, რომ აქაც, ჩრდილოეთშიაც, ცდილობენ შესაფერი პირობების განმტკიცებას და სასურველი ნივთების შემზადებას ნაკადი ხერხის სახმარებლად. ამას გარდა ხმებიც კი დაჰყარეს თითქოს უცხოეთის ფულს მოყვანილს შევედური ვაჭრებზე, დროა ეხლა ყველამ გაიგოს, რომ შევეციის მართლწილი წრეები, პრესა და ხალხი სრულიად დამოუკიდებელია და არავითარ გავლენას არ განიცდის უცხოეთის ანგარებიან ავტორიტეტსაგან, დეე შეიგნონ, რომ ყველა ჩვენი მისწრაფების მიზანია, შევეციამ შეინარჩუნოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს უფლებები“.

მეტამორფი, 24 ივნ. ჰაგიდან იტყობინებიან, რომ ნაიმიადენში მოსულმა პოლანდის ტრადერებმა (ნაღმის ამომღები ნაგები) გადმოგვეცეს: ჩრდილოეთის მხარეს ოთხი საათის განმავლობაში განუწყვეტლად ზარბაზნის ხმა ისმოდა. შევეციის დილით მიხლის თამაშის სისწრაფით მოკურდა 3 ინგლისის კონტინალისანი. ორი საათის შემდეგ კვლავ უკან დაბრუნდნენ დაუზიანებლად. ტრადერებს ოთხი ცეკელინიც შეუწმენიათ.

ბრიტან. 24 ივნისი. (მთავრ შტაბის ოფიცერი) ცნობის გავრცელება 23 ივნისი). მდინარე იზონკოს რაიონში მო-

ქმედება ნორმალურად ვითარდება. მტერი სასტიკ წინააღმდეგობას უწევს ჩვენ იერიშებს და კონტრიერიშებით ცდილობს წაართვას ჩვენ ჯარის წინა დღეებში აღებული ტერიტორია. ტყვეებისაგან ვტყობილობთ, რომ მტერი ნებადაურთოვლად საშვალეებს ხმარობს ბრძოლის დროს. ერთ ასეთ საშვალეებთანაა ის, რომ მტრის წინა რაზმი, დამორჩილების ნიშნად, ხელგებს მალა სწევს და როდესაც ჩვენი ჯარი სროლას შესწყვეტს, მტრის წინა რაზმი უშალეე მიწაზე გაწევს და მათ უკან მდგომი მსროლელნი საშინელ ცეცხლს გვიშენენ. მიუხედავად ყველა ამისა, ჩვენი ჯარის სულიერი მდგომარეობა ძლიერ კარგია და დარწმუნებულია საბოლოო გამარჯვებაში.

პარიზი, 24 ივნ. დილის ოფიციალური ცნება. არასის ჩრდილოეთით მიეწევი დამე საარტილერიო ბრძოლა იყო. სადგურ სუშეში მიმართული გერმანელების ორი იერიში მოგერიებულ იქნა. მასის მარჯვენა ნაპირზე, სანგოს სამხრეთით გერმანელების იერიში შეჩერებულ იქნა თოვლ-ზარბაზნებით. სენ-მიელის სამხრეთ ალმოსავლეთით ზარბაზნების სასტიკ დაშენის შემდეგ მტერმა განახლა შემოტევა. მხოლოდ ერთ ადგილას მან შესძლო ჩვენი თხრილების პირველ ხაზის შენარჩუნება, დანარჩენ ადგილებში უტყუავდეთ დიდის ზარალით. ლეპრეტრის ტყის აღმოსავლეთით ფრანგებმა შეაჩერეს გერმანელების შემოტევა, რომელსაც წინ უძღოდა ამან-თებელ სითხის ხმარება. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მოხდარა.

პარიზი, 24 ივნისი. საღამოს ოფიციალური ცნობა. არასის ჩრდილოეთ რაიონში, კენევიერის მიდამოში საარტილერიო ბრძოლა. მასის მარჯვენა ნაპირზე ეპარეთან ჩვენს პოზიციებს დაიხეობით ზარბაზნებს უშენენ. აპრემონის ტყეში დიდის გაფთრებული ბრძოლა ცოტათი დაწყანდა. მტრის დიდი ზარალი მოუვიდა, მაგრამ წაიღეს ვერსად ვერ მიადგინა. ლეპრეტრის დასავლეთით შეტევით და ხელით სასროლ ყუმბარებით 200 მტრის თხრილები დაეჭირეთ. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მოხდარა.

ქურაღ-გაჯიტიანი

მოსკოვის არეულობის გამო.
მოსკოვში ჩასული სენატორი კრაშენინიკოვი სადარბაზოდ თავად იუსუპოვიან ყოფილა, მაგრამ ბაას მხოლოდ საქმის ხასიათი ჰქონდა. კრაშენინიკოვმა გამოჰქიბა საქმის ვითარება ყოფილ გრაფონაჩლიკს ადრიანოვს. გამოიჩინა რომ კრაშენინიკოვს მინდობილი აქვს მხოლოდ არეულობის გამოძიება და არა რევიზია.

გენერალურ ბრძოლის მოლოდინში.
„რუსკ. ვედ.“-ში კიროვი სწერს: ავსტრია-გერმანიის ოპერაციამ ლიუბლინიში ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ ის უსათუოდ დამოლოვდება ან დიდის გამარჯვებით, ან კიდევ დიდის დამარცხებით. გერმანელებმა კარგად იცან, რომ ჩვენ მაველი ჯარი მოგვდის და ალბად ამიტომ ცდილობენ ეხლავე საქმის გათავებას, ცდილობენ გვაძილონ მხოლოდ ნაწილ-ნაწილად მივიშველოთ ახალი ჯარი. უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ავსტრია-გერმანია ვერ შესძლებს ამას.

გენერალ გუროს დაჭრა.
„რუსკ. სლოვ.“-ს ატყობინებენ, რომ გალიპოლისის ოპერაციის მთავარსარდალი გენერალი გურო გაამგზავრეს მარსელში. გურო მიმედ არის დაჭრილი მარჯვენა ფერდელში და ხელში; მას ორივე ფეხი მოტეხილი აქვს.

იტალია და ავსტრია.
„რუსკ. სლოვ.“-ს რომიდან ატყობინებენ: იტალია-ავსტრიის ომი ახალ ხანაში შედის. შევიცარია და ავსტრია-გერმანიის შორის მისელა-მოსვლა შეჩერებულია. მტერი დიდძალ ჯარსა გზავნის ტრიოლში და კორინთში. განზრახულია აქ შეაგროვონ ერთი მილიონი ჯარისკაცი. საშინელ იერიშისთვის ემზადებიან. იტალიელებიც მზად არიან ვეჟაკურად შეხედნენ ამ იერიშს.

„გოლოს მოსკოვის“ დახურვა.
1 ივლისი დაიხურება ოქტომბრისტა ოფიციალური ორგანო მოსკოვში გოლოს მოსკოვი, რადგანაც მსხვილ მონაწილე გერმანელებს არა სურთ ადგიონ სუბსიდიის გზავნის, რომელიც გერმანელთა ინტერესებს ირ იცავს.

გერმანიის უნივერსიტეტები გერმანელებს.
ცნობილი პროფესორი სახელმწიფო უფლებების ბ-ნ ბორნგაკი ამბობს, გერ-

მანიამ თავის სამტროდ გაულო უმაღლესი სატენიკო სასწავლებლის კარები უტხო ქვეყნების შვილთა. მტერი ქვეყნების ინჟინერები და ქიმიკოსები, გერმანიის უნივერსიტეტებში აღზრდილები, დღეს გერმანიის დანატყვევდენ. დღეიდან უნდა მტკიცედ დავიკვათ პრინციპი: გერმანიის მაღალი სასწავლებელი—გერმანელებისათვის. სანაღვლოდ ის არ უნდა დაგვიჩვენოს, რომ ამის პასუხად უცხოელებიც თავიანთ უნივერსიტეტებს დაუკეტენ ჩვენს ახალგაზღვდებს. გერმანელები ყველაფერს შინ შეიძენენ. უცხოეთის მაღალი სასწავლებლები საზოგადოდ დაბლა დგანან გერმანიის მაღალ სასწავლებლებზე. განსაკუთრებით ინგლისის უნივერსიტეტები, სადაც უფრო სპორტია გაბატონებული, ვიდრე დეცინიერება.

იაპონია და რუსეთი.

იაპონია და რუსეთის მოსალოდნელ კავშირის შესახებ და იმ ხმების შესახებ თითქოს იაპონია რუსეთს ჯარის გამოგზავნას ჰპირდებოდეს, „რუსკ. სლ.“ სწერს: უმთავრეს დაბრკოლებას იაპონიის ჯარის გილის ნაპირებზე ჩამოყანის ტენიკური ხასიათი აქვს, რადგანაც ძალიან ძნელია იაპონიის ჯარის სურსათით უზრუნველყოფა, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ეს სურსათი სანოვაგე ხმელეთით უნდა მიიღოს ჯარმა იაპონიიდან. ადვილი განსახორციელებელი იქნებოდა რუსეთ-იაპონიის კავშირი იმ შემთხვევაში, როდესაც მას მხოლოდ ამ ორ სახელმწიფოთა მამოქმედო გამიჯვნა ექნება მიზნად აზიაში. თუ რუსეთმა იკისრა იაპონიის ინტერესების გარანტია შორეულ აღმოსავლეთში, ნაცვლად იაპონიამაც უნდა იკისროს რუსის ინტერესების დაცვა ახლო აღმოსავლეთში, და თუ მართლაც საქმე იქნება იაპონიის შეიარაღებული ჩარევა ევროპის ომში, ტენიკურიად უფრო ადვილი განსახორციელებელი იქნება იაპონიამ ჯარი-დარდნულში ჩამოიყვანოს, რადგანაც ამ შემთხვევაში სურსათ-სანოვაგის მიწოდებას ის ადვილად შესძლებს თავის საგაქრო გემების საშვალებით. მაგრამ არ შეგვიძლია დავმალოთ ის სიძნელე, რასაც რუს-იაპონიის კავშირი წარმოადგენს. განსაკუთრებული სიძნელე თვით იაპონიის შიდა პოლიტიკაში იმყოფება, სადაც პარტიათა სამკდრო-სასიცოცხლო ბრძოლამ კვლავ იფეთქა.

ჯარის მიერ ხოფლების გადაწვა.
„დენი“ სწერს: ამ უკანასკნელ დროს ხმა დიდის თითქოს რუსის ჯარი უკან დახევის დროს სწავდეს სოფლებს, დაბებს და ქალაქებს. ავტორიტეტულ წრეებში ეს ხმა ვაზვიადებულად მიიჩნიათ, არც საქართველო მოითხოვს, რომ ისედაც განადგურებული და დანგრეული ქვეყანა უსათუოდ უდაბნოს დაემსგავსოს.

გერმანიის საზღვაო შტაბი გოტლანდის ბრძოლის შესახებ.
„პარასკევს დილით 6 საათზე გერმანიის საზღვაო რაზმი, რომელიც განსაკუთრებით მსუბუქ გემებისგან შესდგებოდა, ვინდავასა და გოტლანდს შუა შეხვდა რუსის კრეისერებთა რაზმს. ღრუბლების გამო ბრძოლამ საერთო ხასიათი დაჭრა და შეტაკება მოხდა ცალკე გემებს შორის. ამ ბრძოლის დროს „ალბატროსი“ ჩამოშორდა რაზმს და ჩაძირვა იწყო და ამ მიზეზით ის იძულებული გახდა ესტერგანის ნაპირებს შეფარდებოდა.“ შემდეგ გერმანიის საზღვაო შტაბი სრულებით უსაბუთოდ ამტკიცებს, რომ რუსის გემებმა შევეციის ნეიტრალურ წყლებშიაც არ შესწვდნენ „ალბატროსისკენ“ ყუმბარების სროლაში. ამ ცნობით საზღვაო შტაბის განცხადებით და ცდილობენ შევეციის გერმანოფილური ნაწილი რუსეთის წინააღმდეგ აამხედონ და ურჩვენ შევეციის მთავრობას დაუყუენებლივ დაქაყუენილება მოსთხოვონ რუსეთს.

გერმანიის სამხედრო.
როტრედამიდან და ამსტერდამიდან მოსულ ცნობებით გერმანია დიდს მზადებაშია სასტიკ იერიშებისთვის, რომელიც მას სურს აწორმოვოს დასავლეთ ფრონტზე. აღმოსავლეთის ფრონტიდან დიდძალი ჯარი გადაჰყავთ დასავლეთის ფრონტზე და დიდძალი არტილერია მოუგროვებიათ ფრანგების მარცხენა ფრთის წინააღმდეგ. აქ, როგორც ეტყობა, გერმანელები იმავე საშვალების ხმარებას აპირებენ, რაცა გალიციაში გამოიყენეს.

გერმანიის სამხედრო.
„რუსკ. სლოვ.“ ვარშავიდან ატყობინებენ, რომ გერმანელებს პლოცკში დაუტყვევებიათ ქალაქის სამოქალაქო მი-

ლიცია, რიცხვით 100 კაცი, და გაუგზავნიათ პრუსიაში. დატყვევება სრულებით მოულოდნელად მოხდარა. გერმანელებს ნება არ მიუციათ მილიციონერებისათვის გამართობებოდათ ნათესავეებს და მშობლებს.

ზ ა ა ს ი

IX
მოვლა-პატრონობა მამულისა.

მოგვხსენებთ ვერის ხეობა. ძველად ეს ხეობა იყო დაბურული ტყით და ალბად ამიტომ ააგეს აქ მშენიერი ტაძარი ბეთანიისა, სადაც დახატულია სურათი თამარ მეფისა. დღეს ვერის ხეობა ოხრდება და ტიალდება. მალე უდაბნოდ გარდაიქმნება, რაც ტყეს საბოლოოდ გასჩენენ და მდინარე „ვერა“ კლდეთა ფერდობებიდან ჩამოიტანს ნიადაგის სინოყიერეს, მიწას და მცენარეთა ფესვებს. მარცხენა მხრიდან ბეთანიის დასტყერის სოფელი ლასტისციხე. იგი ეკუთვნოდა პოლკოვნიკ სტეფანოვს, გასპარ არტემის ძეს. ვერის ხეობის მთიელებმა იყიდეს ეს სოფელი დიდი თუმნად. რადგანადა აგარაკის უდრის 1552 დესეტინას და 2240 ოთხკუთხ საყენს. სულ დაიჭირა სამი ათასი თუმანი (52 დეს. 2240 კ. არ არის სათვალავში მიღებული). მამულში კიდევ არის ტყე, დანარჩენი საძოვარია და ცოტადენი სახან-საიფონი. უმბარი, კლდეოვანი ადვილი საქმარისად არის ლასტისციხის აგარაკში.

ახალი მესაკუთრენი, სულ 34 კომლი, ჩვენი ქართველი მთიელებია. იქნება 50—60 წელიწადი რაც დაემშენნ იგინი ხევიდან, მთიულეთით და გულდა მაყრიდან და დასახლდნენ ვერის ხეობაში. ზოგი იჯარით იღებდა მამულს და ისე სცხოვრობდა, ზოგი ხიზნობდა და ყველანი კი ერთად ნახშირს სწავდნენ და ხეობის ტყეებს ანადგურებდნენ. მისდევდნენ აგრედვე მესაქონლობას. ხიზნობაზე მალე აიღეს ხელი, ზოგ არა ყყარა რა და მესაკუთრეობაზე დაიწყეს ზრუნვა. მარტო ოსობა ებლაუქება ამ დახანსებულ ინსტიტუტს. სამგან რომ მამული შეიძინოს სადმე სოფლად, თუნდ მშენიერი სახლებიც თვით თბილისში, იგი მაინც ხელს არ აიღებს ხიზნობაზე. სახიზნო მამულზე უსათუოდ მივევალს დასტრევის და მხოლოდ მაშინ გადაბარდება ახლად შექმნილ საკუთარ მამულზე. ასეთია ოსი—ხიზანი, ასეთია მისი ბუნება.

როგორც ხიზან ოსს, აგრედვე ქართველ მთიელს არ უყვარს ტყე, არ იცის მისი დაზოგვა, მოვლა, ახლოს გაშენებს. წინად თუ ტყის პატრონი ასე თუ ისე ავად თუ კარგად, ტყეს იკავებდა, დღეს მესაკუთრე მთიელს ვინლა გააჩერებს, ვინლა ალაგმავს შემუსკრულ ხელს? არავინ. მართალია, საფლებო ბანკი, სადაც ნაც ლასტისციხელებმა სესხი აიღეს, თვალყურს დაიქრეს და კანონით აუკრძალეს ტყის უდიერად მოპყრობას, მაგრამ განა არ ვიცით, რას წარმოადგენს ჩვენში ასეთი აუკრძალვა, ასეთი ყადაღა. დიდი ხანია საქართველოს ტყეები ექვემდებარება სატყეო დამცველ კანონს, მაგრამ კანონი კანონად ვახლავთ, ხოლო ტყეები კი იბუგება, იჩენება და ჩანაგდება. ტყის მოვლენ კაცთა ნაწევრს, ან მოხსენებას რომ ჰკითხულობ, ან შენის თვალთ ჰხედვ ნატყევარ ადვილებს, თმა ყალყზე დგება შიშისა და თრთოლვისაგან. საქართველოს მალე ნიაღვარი წაიღებს, ამის ნიშნები უკვე ბევრია და მომავალში ხომ გაასდება.

ლასტისციხელებმა დამტკიცების სიგელი მიიღეს, გასპარ სტეფანოვის აჩრდილი აღარ დასტრიალებს ამ მთა-გორიან სოფელს და შეუდგნენ მიურნეობას, როგორც მესაკუთრენი. ამ სწორედ ახლაა საქართველოს სოფლისა, მისი უნარი, სარისტიანობა. საქართველო წესი, დამყარებული უფლებებზე, მხნეობა, უნარი, სარისტიანობა სოფელსა საქმარისი გამოიჩინა. ხუმრობა ნუ გვგონიათ ერთი წლის განმავლობაში ჯიბიდან ამოღებება რვაგის თუმნისა, რომელიც ბეის სახით მამულის პატრონს მიართვეს... არ მოიძებნება მხოლოდ ლასტისციხელების საკუქნაოში წესი და რიგი საერთო, საიმანავო მამულის მოვლა-პატრონობისა და სწორედ ეს დაჰპლპავს როგორც ამ სოფელს, აგრედვე სხვებს, ვინც. თავად-ანაურთა ნიხარზე მკვიდრდება.

საგლებო ბანკის წესდებას დართული აქვს ნიშუმი იმისი, თუ როგორ უნდა მოხმაროს ამხანავობა საიმანავო მამული. ვინ იკისრებს, ვინ ითავებს ამ წესების ასრულებას. თვითონ ამხანავებს

არ შეუძლიან ამ წესებით სარგებლობა, არც მკვირე წესები და არც ეპრიანებურ, მთიე ქვეყნებში. არც ესმით მისი სიკეთე. ან ვინ ჩაავანებს, ვინ უჩიინებს მუდამ ჟამს, რომ საქართველო რაიმე წესით ხელმძღვანელობა. ვსთქვათ, რომ ვინც იხიან კაცი და აუხსნა ქართულად სიკეთე ამ წესისა. ამითი საქმეს არაფერი ეშველება. საქართველომდვიე ძალა, რომელსაც უნდა შეეძლოს მითხოვნა ყოველ დღე, ყოველ წამს მისი ასრულება, ხოლო ურჩის დასჯა. ასეთი ძალა არ მოიპოვება დღევანდელს ჩვენს სოფელში და ამის გამო იქ გამეფდა ანარქია.

ლასტისციხეში უკვე იჩინა პირი ანარქიამ. ერთი, რომელსაც ბლომად ცხვარი ჰყავს, გაიძახის—მამული იმითომ ვიყიდე, რომ ცხვარი ვაბალახოვო. მეორე ამბობს, მამული იმითომ ვიყიდე, რომ ნახშირი ვწვავო. ბოლოს ხელჯოხიანნი და მკლავდონიერნი ჩაიგდნენ ხელში საიმანავო მამულს, საწუწნავს უხვად დაუწყებენ წუწუნას და გამოფიქრულს მამულს მიუვდებენ ბანკს. უღონონი და უძლურნი კი ტრადიკულად შემომჩივლებენ, როცა დავტუქსავ ხოლმე—რა ღმერთი გიწყურებათ, რომ დედა-მისის შვილთ ყადრი არ იცით მამულისა და თავი არა გაქეთ მამულის მოვლისაო,— არა, ბატონო, ამხანავის და მეზობლის პარავსი სივ გასპარ სტეფანოვი მირჩევინაო.

საერთო საძოვრით და ტყით იღეა-ლურად სარგებლობს შევიცარის სოფელი. ჩვენში ვინ დისთესს, ან ვინ დაწერავს ამ საუცხოვო წესებს? აი ესაა თავში საცემი.

საგოგლო სიხვარული
(ინდივიდუელი აზრი)
IV

ამ წერილში ვეცდებით მკითხველს გავცნოთ ჩვენი აზრი პიროვნების ღირებულებაზე. ეს საკითხი საზოგადოდ მეტად რთულია. დემოკრატიულ ქვეყნისთვის, რომელიც უკუყვალ ღონეს ხმარობს შექმნას ხალხური მთავრობა, შემდგარი ხალხისაგან და ხალხისთვის, პიროვნების ღირებულებას უმთავრესად ადგენს უპირატეს. ასეთი ქვეყნის როგორც წარმოება, ისე დაქვეითება მკიდრად არის დაკავშირებული პიროვნებასთან. სხვა სახელმწიფოებრივ წყობილებაში, სადაც მთავრობა უმტირობისაგან შესდგება, ანუ სადაც ერთი ადამიანია მართვლი მთელი სახელმწიფოსი, ასეთ ქვეყნებში პიროვნების ღირებულებას უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს. მთავრობის ღირებულება-ხარისხი უმთავრესი მნიშვნელობა ეძლევა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არ არსებობს ისეთი სახელმწიფო წყობილება, სადაც პიროვნების ღირებულებას ერთგვარი მნიშვნელობა არ ჰქონდეს. რომელიმე განსაზღვრულ ერის, განსაზღვრულ სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის საქართველო მისი შვილების პიროვნების რაც შეიძლება მეტი ღირებულება ჰქონდეს, რადგანაც ეროვნული სიძლიერე-კულტურა თვით მოქალაქის, პიროვნების ღირებულების შედეგია. პიროვნების ღირებულების ასამაღლებლად კი საქართველოს საყვედურთა სწავლა-განათლება, მაგრამ ხანდისხან სწავლა-განათლება მიღებულ ადამიანის პიროვნების ღირებულებაც უარყოფითია. აი ასეთ მავალითების თავიდან ასაცილებლად საქართველო, რომ ერის სწავლა-განათლება განსაკუთრებულ ზნეობრივ აღზრდაზე იყოს დამყარებული. ნასწავლ და განათლებულ ადამიანის ზნეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ნასწავლი და განათლებული, მაგრამ ამავე დროს უზნეო პიროვნება ვაცილებით უფრო საშიშია ერის სხეულისთვის, ვიდრე გაუნათლებელი. ერის შვილებმა განსაკუთრებული კანონი უნდა შეიმუშაონ ასეთ პიროვნების ასალაგმავად. რადგან ასეთ პიროვნებას არ შეუძლიან ცხოვრებასთან ბრძოლა, არ შეუძლიან მუშაობა და ტანჯვა, ის მუდამ ნაკლებ ენერჯის დახარჯვით პარაზიტული მზამარეულს ექებს და სხვისი შრომით სარგებლობს მხოლოდ.

თავისუფლო ერს, რომელსაც საკუთარი მთავრობა განაგებს, მხოლოდ რამდენიმე პიროვნების ენერჯია ეკარგება, ენერჯია ისეთ პირებისა, რომლებიც ბერულ ცხოვრებას ატარებენ და გაურბულ სხვა პიროვნებასთან ურთიერთობას. არის კიდევ უზნეო ნაწილი ისეთი პირების, რომლებიც თავის უმოქმედობას ცხოვრების უკულომართ ჩარხის ტრიალს აბრლებენ და მოელიან ჯიმ

სანეტარო დროს, როდესაც იმათაც შეეძლებათ მოქმედება და სარგებლობის მოტანა. რასაკვირველია, ასეთ პირობებში ღირებულება ერთი კეთილდღეობისთვის მინუსია, ნაკლია. ბენდინგია და მასთან სასარგებლო ის პირობებია, რომელიც მთელს ენერჯიას სარგებლობისთვის იყენებს, ბენდინგია მაშინაც კი თუ ის მიზანს ვერ აღწევს, რადგანაც ამ დამატებით გამოცდილებას და ცოდნას ღებულობს. ერის სიძლიერე მისი კულტურით და განათლებით განიზომება, მაგრამ არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს რომ ძლიერ სულისთვის ძლიერი სხეულია საჭირო; სხეულის დამოკიდებულება, როგორც რომელიმე ანდა-ზაში გამოსატყვევს, ერის კეთილდღეობისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. არის პირობების მესამე ღირსება, რომელიც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ერის კეთილდღეობისთვის,—ეს გახლავთ ხასიათი. ხშირად მსჯელობაში ერთმანეთში ვერ ვხვდებით სულის სიძლიერეს და ხასიათს,—ბენდინგის ეს სინონიმია. ჩვენს აზრით კი ხასიათი და სულის სიძლიერე სხვა და სხვა ცნება და ამისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეთ ახალგაზრდათა აღზრდაში ხასიათის შემუშავებას. მაშასადამე, აღზრდას, და განსაკუთრებით ზნეობრივ აღზრდას განუზომელი მნიშვნელობა აქვს. არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ვერც გონების სიმახვილეს, ვერც ზრდილობას, ვერც გამჭვირვებობას ვერ შეუძლიან აინაზღაუროს და დაძვაროს პირობების უზენაესი და მორალური სიმახვილე*).

ერის წარმატების მაჩვენებელია მისი შვილთა ხასიათის სიმტკიცე, ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, საერთო მოქმედება სხვებთან, გამბედაობა და ვაჟკაცობა,—ამ თვისებებზე უკეთესი აკარგვიანებს ერს თავისუფლებას და ფატალურად სხვისგან დამოკიდებულებას ხდის. სამშობლოს სიყვარული მოითხოვს ყველასავე ერთსულოვნობას, ერთსულოვნობა კი თავის თავად ითხოვს მუშაობის სურვილს და შეძლებას, შთამომავლობის გამრავლებას და თუ დაგვიკარდა—ბრძოლას. მუშაობის საჭიროება ადამიანისთვის ისეთი რამ არის, რომ ჩვენ ზედმეტად მიგვაჩინა მასზე შეგრძობა. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ საბენდინგროდ, ჩვენში დღითი დღე კლებულობს რიცხვი ისეთ პირებისა, რომლებსაც შეეძლება ჰქონდეთ არსებობისა და მუშაობის მაგიერ ლაზარდობაში და სამშობლოს დამღუპველ გართობაში ატარებდნენ დროს. საშველო ადამიანმა ხომ უნდა იზრუნოს ლუკმა პურზე—და აი, აქ ზნეობრივ აღზრდის შედეგები ხელსახები ხდება. პატრიოსანი შრომის უარყოფა და რამე სხვა აფერისტულ საშველებით არსებობა საშიშრელებას უნდა წარმოადგენდეს ზნეობრივად აღზრდილ პიროვნებისთვის. მეტის მეტად და უკიდურესობამდე სასტიკი და უღმრთოლო რომ იყოს მისი ეკონომიური დეგრადაცია, ინდივიდი მუდამ უნდა გრძნობდეს რომ გარეშე პატრიოსანი შრომისა, საკუთარ ენერჯიის ხარჯვისა და გამრჯელობისა არავითარი ხსნა არ არის.

ე. ალშობაია.

დეკევა

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)
ქუთაისი, 26 ივნისი. ორი დღეა რაც რიონი და იმერეთის სხვა მდინარეებიც აღიდგინენ. წყალს მიაქვს ხალხი, საქონელი, შენობები, ტყე, სამხერხობები და ყველაფერი რაც გზაზე ხვდება; წყალი ანგრევს სახლებსა და გზებს; რაჭიდან და ლეჩხუმიდან მოყოლებული ფოთამდე ყველაფერი წალევა; ზარალი მილიონობით ითვლება. ქუთაისში წყალმა ზოგი სახლი წაიღო და დაანგრია; ხიდებზე მოძრაობა შესწყდა. დამე არავის დაუძინია. თავზარი დაცვა ხალხს, რომელიც უარეს უბედურებას მოელის. შველა არსაიდან მოხანს.

ახალი ამბავი

◆ **დახმარება** ასეთი უნდა. ფრიდონოვის ცნობილი ფირმა ყოველ წლებით იწერდა საზღვარგარეთიდან გორდოს და შაბაძის. ამ მასალის რამდენიმე ნაწილს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას აძლევდა დაკ-

*) ამ საკითხს შემდეგ უფრო ვრცლად შევხებით.

გეოგრაფიის სკამი

გახვედა გრძობა, გაქვავდა გული, სათნოებამაც დაჰკარგა ღონე; დაიბნო ძიობა და სიყვარული, აღარცინ არის მათი მომგონე.

უძლები მიწის კალთა და უბე აივსო ცრემლით, აივსო სისხლით, რა ცამ იხილა მათ ტბა და გუბე, თავდაც შუბლი მოიკვა ნისლით.

ყურს აღარ უგდებს მზესა და მთვარეს, გული მოიკლა, მოაშავებდა, და ან კი რა ჰქნას, როცა ძირიდან ტირილით ასარჩლებს მრავალი დედა.

მშობლის ცრემლებთან შვილების სისხლიც ზეცამდე ადის, ორთქლად ტრიალებს, და ცის ნამებთან დედამიწაზედ წარღვნის ღვართქვედა ჩამოქრიალეს.

არც გადაიღებს ცა, როგორცა ვხედავ, ვერც მზე შეუშრობს ღრუბლიან თვალებს; სისხლის და ცრემლის უჩინარ წინწკალს ერთი რამა მკლავს და მავალალებს:

პატარებისთვის გულს ვეღარა ვშლი და თუნდ გავშლო, რას გავივლი; იმათ უმანკო ნორჩ სისხლსა და ხორცს ან ტურა შესკამს ან ხარბი მგელი.

მაგრამ ეპ, არა, ვსტყუოვარ, ვსცდები, ბრმა არის ჩემი გრძობათა თვალი; მამების სისხლი შვილთ უნდა იზღონ, რომ გაფოლადდეს მით მომავლი...

ცაო დასკმუქე, წამხდარი ხალხი წალეკე, ნულარ გამოიდარებ, სანამ არ მოსპო ძაღმომრეობა ნურც ვის ახარებ, ნურც გაიხარებ.

ან დედამიწას უნდა რცხვენოდეს და ან შენ ცაო, ღრუბელთა დედავ, ღვარძლიან კაცებს ვით დავმონეთ? ფუ, თქვენს სიცოცხლეს! ამაყად ვხედავ!.. რას ვამბობ, რასა მე უბედური?

ცამ რომ დასკმუქოს, დაიგრილოს, ჩემი შვილების ტურფა ბაღნარც ხომ სულ მთლად უნდა გაატიალოს. ჩემი წამება მე მათთვის მინდა, მათ სიცოცხლისთვის ტანჯვაც კი ჰყვავის, ობოლი ფისოც კი მენჯება.

როცა უღედოდ მარტოკა კნავის... დედის ცრემლს და დედის კვნესას აბა მე ვით შევედრები; თუ უქმხდა რამ შეგბედე, მომიტყევე, გვედრები.

ცაო, ცაო, გახსენ შუბლი გვხვეწები სულით, გულით; მოიდარე ბავშვებისთვის, დასტკბი მათის სიყვარულით.

როცა დედა ცრემლებსა ღვრის და შენსავით იმღულრება, ბავშვის ხელი დედის კალთას არ შორდება, ზედ ეკვრება.

ბაღის აღლო კარგად ვერ გრძობს დედის გული რისთვის კვდება; ამათ ტანჯვას რა უყურებ, მეც გულ-ღვიძლი ზედ მიდნება.

ცაო, ცაო, შეგვიბრალე; გადიყარე ღრუბელთ გროვა; ცოდვილთ მსხვერპლად ისიც კმარა დედამიწამ რაც ვგავლოვა!..

შოი მღვიმელი.

◆ **სეირნობა.** შაბათს 27, კვირას 28 და ორშაბათს 29 ამა ივნისს, საბურთალოს სცენის მოღვაწეთა წრე, თავის სხსრის გასაძლიერებლად, ჰმართავს პირველად სეირნობას დიდი შინაარსიანი და სანეტრესო პროგრამით მუშაობის ბაღში.

◆ **სურსათი.** 25 ივნისს მოტანილია თბილისში: თქვილი 18 ვაგ., ქვაკვი 8 ვ., შაქარი 6 ვაგ., ფხვნილი შაქარი 5 ვაგ., ბრინჯი 1 ვ., მარილი 4 ვ., სპიჩა 1 ვ., შება 28 ვაგ., რკინეულობა 2 ვაგ., კირი 1 ვაგ., შუშული 1 ვაგ., ქერი 3 ვ., ნახებრი 1 ვ., ლიმონი 75 ფუთი, წვანი-ლეულობა 180 ფ., კარაქი 68 ფ., ყველი 57 ფ., კვერცი 47 ფ., ქათამები 34 ფ.

◆ **წარმოდგენა.** დღეს სახალხო სახლში ბ. ვ. გამყრელიძის, შანშიაშვილის და გომელაურის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება: „რაი გინახავს, ვეღარ ნახავ“. მ. მოქ. კომედ. ავტ. ცაგარისა.

◆ **ასირიელების გაგზავნა.** ამ თვის გასულს 700 კაცამდე გადმოხვეწილ ასირიელებს გაისტუმრებს სპარსეთში საეპარქიო კომიტეტი. დარჩება კიდევ 200 ასირიელი, რომელთა შენახვას კისრულობს ქალაქის ცენტრალური კომიტეტი.

◆ **შავი სახალი თელაში.** თელავის ქალაქის მოურავი ატყობინებს თბილისის ქალაქის მოურავს, რომ თელავში ერთი კაცი გახდა ავად შავი სახალითი.

◆ **ხოლერა.** დონის როსტოვში ხოლერა გაჩენილა, რამდენიმე მუშა ხოლერას უმსხვერპლია.

◆ **შეპრობა გადაცემულ აფიცრისა.** თბილისის კომენდანტმა შეიპრობა ქალაქთა კავშირის მსახური ავამბეკოვი, რადგან იგი აფიცრის ფორმას ატარებდა. ავამბეკოვი პოლიციის სამმართველოში მიიყვანეს. კომენდანტმა პოლიციისტერს მოსთხოვა, რათა ავამბეკოვი სამართალში იქმნას მიცემული.

◆ **ქალაქის შაქარი.** გუშინ ქალაქმა 15 ვაგონი შაქარი მიიღო. ორი ვაგონი სხვა და სხვა მთავრობის და კერძო დაწესებულების მოხელეთ მიეყიდა, ერთი ვაგონი ქალაქის ახლო-მახლო სოფლებს, ხოლო 12 ვაგონი ქალაქში მცხოვრებთ: შაქარი გაიყიდა იმ სავაჭროებში, სადაც წინად იყიდებოდა. გირვანჯა ეღირება ერთი აბაზი.

◆ **შაქრის უკონლობის გამო** ბათომში კომენდანტმა ბრძანება გამოსცა, რომ ბათომიდან შაქრის გატანა ჩემს ნებადღურთველად სასტიკად არის აკრძალული. მოაგარაკეთ შაქარი თან უნდა ჰქონდეთ არა უმეტეს ათი გირვანჯისა. კინტრისის მოგატრეები შაქრის გატანის უფლებას ჩემგან უნდა იღებდნენ. ბრძანების დამრღვენი ან 300 მანეთით დაისჯებიან ან და სამის თვის ციხითაო.

◆ **მელიკური დახმარება ვანის მცხვრებთ.** ქალაქის თავმა ვანის გუბერნატორს არემს აცნობა, რომ ექიმები და ფერშლები წამოვლენ ვანის მცხვრებთა დასახმარებლად, უკეთუ ექიმს 500 მანეთი და ფერშალს 100 მანეთი ექმნებათ თვეში ჯამაგირიო.

◆ **ქუთაისი.** დ. ლაილაშვილი დაბრუნდა ქუთაისის საოლქო სასამართლოს უფროსი თავმჯდომარე ბ-ნი ფედოროვი, რომელიც შაბათს, 20 ივნისს, დ. ლაილაშვილს დაესწრო ახალ სასამართლოს კურობევის, ლაილაშვილი დაბრუნდა აგრეთვე საოლქო სასამართლოს სესია.

◆ **კვირას, 21 ივნისს,** ქუთაისის საკათედრო ტაძარში ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობის მეთაურობით გადახდილ იქნა პანაშვიდი დიმიტრი ზაქარაძის ძის ბაქარაძის სულის მოსახსენებლად, მისი გადაცვალებიდან 25 წლის შესრულების გამო. პანაშვიდს ხალხი ბლომად დაესწრო.

◆ **ხმოსანმა გრიგოლ ივანეს ძე** გველესიანმა ქალაქის საბჭოში განცხადება შეიტანა, რომ აირჩიონ ხმოსნებიდან მეორე წარმომადგენელი კავკასიის სამოსწავლო ოლქის კრებებზე დასასწრებლად.

◆ **ქუთაისის დრამატული საზოგადოების** ახალმა გამგეობამ დაადგინა, რომ მომავალ სეზონში იყოლიოს დახლოვებული დასი და წარმოდგენები მართოს სისტემატურად. გამგეობა შესაფერ თადარიგს უკვე შეუდგა.

◆ **თბილისში** სრულიად კავკასიის სახმელრო სამრეწველო კომიტეტის თავიბრე დასასწრებლად, თანახმად თბილისის საბირყო კომიტეტის წინადადებისა, არჩეულ იქნა ქალაქის მოურავი ი. მ. ჩიქოვანი.

◆ **კვირას, 21 ივნისს,** დღის 12 საათზე საფინანსო აკურობის დავით კლდიაშვილის სახელობის კონსერვატორიაში საცავ სამკითხველო-გერმანულ-სემინარში გრძობიერი სიტყვა წარმოსთქვა დეკანოზმა მამა ივლიანე აბესაძემ, დასასრულ გადაღებულ იქნა დამსწრე საზოგადოების სურათი.

◆ **21 ივნისს** წვიმა და ნიაღვრები იყო. დაზიანა ნათესები. საზოგადოდ საავარაკო ადგილებში წელს კული ამინდებია.

◆ **მევენახეები** დიდ გაპირვებას განიცდიან. მეორედ შეწვავლის ვადა მოვიდა. შაბათს 40 მანეთად ვერც კი ყიდულობენ. ჩარჩების აღვირ-ახსნილობას საზღვარი არა აქვს. თბილისში მომოსვლა შეტად გაძნელდა. მელანის სადგურამდე მისვლა ისე ძნელი გახდა ეტლების უშოვნელობით, რომ ასეთი სიმწელე არა მგონია ქიზიყელებს როდისმე განეკლათო.

◆ **თელაში.** თელავიდან იუწყებიან, რომ კახეთში კიდევ განუწყვეტელი წვიმებიაო. მგზავრის თქმით, ველისციხესთან მდებარე ხევში დიდი ღვარი მოვარდნილა. ღვარი გადმოვარდნილა და ხალხისთვის შიშის ხარი დაუტია. დაუტაცია ოთხეფები საქონელი. ამბობენ, ღვარმა ერთი ბავშვიც იმსხვერპლაო.

პრესა

„სახალხო ფურცელი“ სწერს ჩვენში ერობის შემოღების შესახებ:

რა თქმა უნდა, კავკასია საზოგადოდ და განსაკუთრებით კი საქართველო, დიდი ხანია მომზადებულია არა მარტო საერთო თვითმართველობისთვის. შემოიღეთ იგი და დარწმუნდებით, რომ ეს უბრალო, უსაფუძვლო სიტყვა კი არ არის, არამედ ფაქტი. მზად ვართ თუ არა იმ შემთხვევისთვის, თუ დისიმბა საკითხი იმის შესახებ, თუ რანაირი ტიპის საერთო თვითმართველობა უნდა იქმნას შემოღებული კავკასიაში. თუ გადაწყდება, რომ კავკასიაში შემოღებული უნდა იქმნას ისეთივე საერთო თვითმართველობა, რანაირიც შიდა რუსეთშია, მაშინ ჩვენ აღარავინ გვკითხავს იმ ცვლილებათა შესახებ, რომლებიც შეიძლება შეტანილიყო საერთო თვითმართველობათა არსებულ დებულებებში.

მაგრამ შესაძლებელია ისეც მოხდეს, რომ ადგილობრივმა მთავრობამ რაიმე ცვლილების შეტანა მოისურვოს და ამ მიზნით საერთო თვითმართველობის სრულიად ახალი პროექტი წარუდგინოს საკანონმდებლო დაწესებულებას. რას ვაპირებთ ამ შემთხვევაში? გამოაკვეთო გვაქვს თუ არა, რანაირი ნიადაგზე უნდა აშენდეს მომავალი ერობა? ვიციოთ თუ არა, რანაირი პრინციპები უნდა დაედვას მას საფუძვლად და როგორ უნდა შეუთანხმდეს კანონი ადგილობრივ ეკონომიურ და ფინანსურ პირობებს.

ჩვენ ვიცით, რომ ამ რამდენიმე წლის წინად გამართულ საერთო თათბირზე შემოხსენებული საკითხების გარშემო დიდი კამათი იყო გამართული. არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს საკითხები კვლავ არ წამოიყვანოს თავს მაშინ, როდესაც საერთო თვითმართველობის შემოღება პრაქტიკულ საქმედ იქცევა.

ამ მომენტისათვის მზად უნდა ვიყოთ, რადგანაც ერთხელ შემოღებულ კანონის შეცვლა შეძლებს ძალიან გაძნელდება, თუ შეუძლებელიც არ გახდა. თუ საერთო თვითმართველობის შემოღება პრინციპიულად გადაწყვედა, პროექტი, უმჯობესა, წარედგინება სახელმწიფო სათათბიროს, რომელიც, თანახმად უმაღლესი ბრძანებისა, ამ მოკლე ხანში შეიკრიბება. დიდი ვალი ადევთ ამ მხრით ჩვენ დეპუტატებს. ისინი ვალდებული არიან ანგარიში გაუწიონ იმ გარემოებას, რომ, განსაკუთრებული პირობების წყალობით, ისინი წარმომადგენლები არიან არა მარტო თავიანთი პარტიისა, არამედ საზოგადოდ ქართველი ხალხისა, რომლის ნაწილიც მოკლებულია საშუალებას საზოგადოების აზრი ამის შესახებ რუსეთის საკანონმდებლო დაწესებულებას ამცნოს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, საერთო საკითხს ჩვენ დეპუტატები განსაკუთრებულ ყურადღებას მიაკვირვენ. ქართველ ერს ერობის ტიპის შესახებ თვისი განსაკუთრებული აზრი აქვს შე-

ღებულ ფასებში, ხოლო დანარჩენს პირდაპირ სოფლის მევენახეებზე ჰყიდა. ეს საჭე ბ-ნმა ფრიდონოვმა მონაპოვლიად გაიხადა და დიდი ფულიც მოიგო. წელს, ამ უკანასკნელ დროს, ერთი პარტია გოგირდი მოიტანა იმავე ფირმამ საზღვარ-გარეთიდან, მაგრამ სოფლებს როდი მიჰყიდა იგი, არამედ ერთ-ერთ აქაურ ბანკს და ერთი უძველესი საზოგადო დაწესებულების სათავეში მყოფს. ამ უკანასკნელმა 25 ივნ. ერთი ვაგონი გოგირდი რკინის გზის სადგურზე თავისი მხრივ მიჰყიდა ვი-ლაც სარიევს, ფუთი 10 მან. 50 კაპ. სარიევმა სადგურიდან რამდენიმე საუენის მოშორებით საქონლის გაყიდვა დაიწყო, ფუთის 17 მანეთად. იქვე სარიევის მახლობლად ბლოთას სცემდა სიღნაღელი ვაჭარი ოთაროვი, რომელიც, როგორც ვიცით, გირვანჯა გოგირდს 70 კაპიკად ჰყიდის. ამ რიგად მთელი პარტია გოგირდისა ჩარჩებს ჩაუვდეს ხელში, რომელიც ტყავს აცლიან სოფლის მევენახეებს.

◆ **მომხმარებელი საზოგადოება** „აღორძინების“ გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას 28 ივნისს იწვევს წევრთა საზოგადო კრებას ზუბალაშვილების სახელობის ქალაქის სახალხო სახლში დილის ათ საათზე. განსახილველი კითხვებია: 1) გამგეობის და სარგებლო კომისიის მოხსენება, 2) საზოგადო მოქმედების გეგმის შემუშავება, 3) მიმდინარე საქმეების განხილვა და გამგეობის და სარგებლო კომისიის არჩევა. გამგეობა მოუწოდებს მსურველთ დაესწრონ კრებას და ჩაეწეონ წევრებად. ჩაწერა შეიძლება იქვე კრებაზე.

◆ **ერევნის ეპისკოპოსი** ლეონტი დღეს პეტროპოლში მიემგზავრება. როგორც ხმა დადის, ყოველდ სამღვდელთა იქნებ აღარ ისურვოს თბილისში დაბრუნება.

◆ **სურათების შექმნა.** 25 ივნისს ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა მოსთხოვა გამოეფნა დაათვალიერა და სამი სურათი შეიძინა მომავალ საქალაქო მუზეუმისათვის.

მუშაობის უფლებას. სახელმწიფო მხოლოდ ის არის, რომ ჩვენს გამომწვევებულ პოლიტიკურ კლასის გამო შეიძლება ჩვენ არც კი გვკითხონ, ან არ დაგვიფერონ. აი სად და როდის გვმართებს ის ერთობა და შეთანხმება, რომელიც დღემდე მხოლოდ შერალო სიტყვა და განცხადებული სურვილი იყო.

„ბირ. ვედ.“-ის ცნობილი სამხედრო მიმომხილველი ერთმანეთს ადარებს ლევიკისა და ვარშავის დაცლას, და განმარტავს, რომ დაცლა და დათმობა ერთი და იგივე არ არის. შემცდარია აგრეთვე ის აზრი, ვითომ დაცლა ამა თუ იმ ქალაქისა უშუალოდ ნიშნავდეს მის დათმობას.

ასეთი აჩქარებული დაცვა მართალი და სწორი არ არის. ამ ორ მცენებს მხოლოდ გარეგნულად აქვთ საერთო მგზავნება. ლევიკის დანებების მიზეზი სულ უბრალოა: ჩვენ გალიცია მის დასაპროტაქტად არ დავიჭირეთ, როგორც ბერის ეგნა, არამედ მხოლოდ აქტიურ თავის დასაცავად.

თქმა არ უნდა რომ რუსები ვარშავას ადვილად არ დაუთმობენ გერმანელებს და უკიდურესობამდე იბრძობდნენ მის შესანარჩუნებლად.

გერმანიის ქარხნების მოუყოლილობა

ფრანგი მწერალი რემონ ლესტონი, რომელიც ფლოტის საკითხის სპეციალისტად ითვლება, ჰამბურგს ყოფილი რისის დაწყების წინა ხანებში. იქ ყოფნისას მის დაუთმავლიერება დიდი ნაწილსა შენი, რომელიც „ბლემისა და ფოსის“ ამხანაგობის კუთვნილებას შეადგენდა. ნავთ-საშენის უფროსი ყოფილა ვინმე კრაუზე, კაპიტანი. მის ხალისით უჩვენებდა ფრანგ მწერლისთვის ყველაფერი, რაც ამ უკანასკნელს აინტერესებდა. მან ლესტონს კაპიტნის ყურადღება მიუქცევია იმ გარემოებისათვის, რომ სახელმწიფოს მოწყობილობა ვაცილებით მეტ წარმოებისთვის იყო გამართული, ვიდრე ის წარმოება, რომელიც იმ უამად იქ იყო გაჩაღებული. ამის პასუხად კაპიტან კრაუზეს აშკარად განუცხადებია, ამის დროს წარმოება ვაფართოვებული იქნებოდა. სახელმწიფო არა მარტო გემთა შენებას უნდა აუფიქს, არამედ სამხედრო მასალებიც უნდა დაამზადოსო. „მე ეჭვი არა მაქვსო, — შეუნიშნავს ფრანგ მწერალს, რომ თქვენ სათანადო მანქანები გეშენებთ კიდევ, მაგრამ ვერ გამოივით თუ სად იშვით ამის დროს საჭირო მუშა ხელსო“.

მომუშავე პერსონალი შეიძლება ძალიან ჩქარა შესდგეს, მიუგია კრაუზეს. „ინჟინერები და საადმინისტრაციო პირები ოფიცრებთან იქნებიან არჩეულნი; რაც შეეხება უბრალო მუშებს, ჩვენ გვაქვს საკმაო რიცხვი კარგად გაწავაზრებულ ხელმძღვანელთა, რომელთაც, ამის დროს, შეგვიძლია გულდამშვიდებით მივინდობოთ.“

„ცხადია — უთქვამს კრაუზეს — ისინი იფიცებოდნენ როგორც სხვა მუშებო, მაგრამ თუ ომი გამოცხადდება, ისინი ამ გზას არასოდეს არ დაადგებიანო.“

ჩვენი ქარხნები ისეა მოწყობილი, რომ ადვილად იმუშავონ ჯარისათვის და ვცდილობთ რაც შეიძლება შევამციროთ ის სიძნელე, რომელიც წარმოსდგება მშვიდობიან დროს წარმოებიდან სამხედრო დროს წარმოებაზე გადასვლის განაო. არ დაიფიქროთ რომ ჩვენ ყველაზე დიდი მწარმოებელი ვართ და მთელ ქვეყანას სამხედრო მასალას ჩვენ ვუმზადებთ და ჩვენი მუშტრების წყალობით ჩვენი „სამხედრო დეპარტამენტი“ მუდამ გამზადებულია საბრძოლველად.

ზოგიერთ იმ სახელმწიფოთაგანმა, რომელთაც ვაწვდით ზარბაზნებსა და სამხედრო გემებს, მოისურვეს საკუთარი ქარხნების აგება ჩვენი სპეციალისტების დახმარებით, სამხედრო სურათის დასამზადებლად, მაგრამ ჩვენ ვარჩევთ ისევ ჩვენ მივაწოდოთ თოფის წამალი და სხვა საჭირო მასალა. ამიტომ გავაგებოთ, რომ ქარხნების საკუთრივ მოწყობა ძვირად დაუჯდებათ, მით უფრო ძვირად რომ მათ ჩვენი სპეციალისტებისა და მუშების წაყვანა მოუხდებოდათ. ამის მაგივრად ჩვენ წინადადება მივცით რომ გერმანიის ტერიტორიაზე მათ ქარხნებს ავუგებდით, რომ ეს ქარხნები მხოლოდ მათთვის იმუშავებდნენ და მათი კონტროლის ქვეშ იქნებოდნენო. (კ.)

„კაინის ბოლი“ და გასთან პრემია

გერმანელების მიერ ნახმარ შხამიან გაზეთს რუსეთში „კაინის ბოლი“ უწოდეს. სამხეთი წერილში ნათქვამია, რომ კაინის ბოლი მიწის ზედა პირს არ შორდება, მაშინ როდესაც აბელის ბოლი ცისკენ აემართაო. შედარება მართლაც რომ ორგინალურია. როგორც ვიცით, ბოლი და ორთქლი საზოგადოდ მალა მისწრაფვის, გერმანელების მომწამლეული ბოლი კი პირიქით, მიწას დიდხანს არ შორდება და მის ზედა პირზე ჯგუფდება. მთელ ევროპაში და რუსეთშიაც ძალიან დაინტერესდნენ ამ გაზეთ და შეუდგნენ იმის გამოკვლევას თუ რა შემადგენლობისაა იგი და როგორ, რა ხერხით შეიძლება მასთან ბრძოლა. როგორც „ნოვოე ვრემია“ იუწყება, პროფესორ სავალიევის აზრით გაზის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს დიდი ნაწილი ქლორისა. პატიცემული პროფესორი ასე ასახულებს თავის მოსაზრებას: ეს გაზი ყოველივე ციკხალ არსებას აბრუნებს და თუ სულდგმული დიდხანს დარჩა ამ გაზის ატმოსფეროში, უსათუოდ მოკვდება. მოწამლეულების ავადმყოფობა განსაკუთრებით ღორწიან ვარსის ანთებაში გამოიხატება. ლიონებზე იგი ასეთ გავლენას ახდენს: სპილენძი მწვანე ფერს ღებულობს, ფოლადი — წითელს, წყალი — ყვითელს, — ხის ფოთლები ყვითლდება, როგორც შემოდგომაში. ჯარისკაცებმა შეამჩნიეს რომ წყალი გაზის გავლენას ასუსტებს და ინსტიტუტურად გამოუჩნდათ შესაფერი საშუალება, რაც გამოიხატება იმაში, რომ ასველებენ ცხვირსახოცს, ჩვარს და მით ახვევენ ხოლმე ცხვირ-პირს. დღემდე გამოგონილი რესპირატორები (გაზის ჩამოსუნთქვით იარაღი) ცოტა უხერხულია, მაგრამ მაინც დიდ სამსახურს უწევს ჯარს. როგორც სალდათების სიტყვიდან სჩანს, ეს გაზი ჯერ მალა ადის, შემდეგ ძირს ჩამოდის და გველივით მიწის ზედა პირზე მიოცავს იმ მიმართულებით, საითკენაც ქარი უბერავს. ურესპირატო ჯარისკაცი ჯერ პირში სიმწარეს გრძობს და შემდეგ ჰკარგავს გონებას.

სავალიევის აზრით გაზის საწინააღმდეგო რადიკალურ საშუალების აღმოსაჩენად საჭიროა მოწინავე პოზიციებზე გაიგზავნოს ექიმები, რომლებიც მხოლოდ გაზეთით მოწამლეულ ჯარისკაცებს შეავრებენ და გამოგზავნიან ან მოსკოვში, ან რომელიმე სხვა საუნივერსიტეტო ქალაქში. გარდა ამისა პროფესორი აუტორიტეტულ საჭიროებად თვლის დანამდილებით ცოდნის იმისას, თუ რომელ გაზეთს ხმარობენ გერმანელები დასავლეთის ასპარეზზე და რა საწინააღმდეგო საშუალება გამოიხატეს ფრანგებმა და ინგლისელებმა.

პროფესორ სავალიევის მოსაზრებას, რასაკვირველია, ერთგვარი საბუთი აქვს, მაგრამ საუბედროოდ ძალიან ძნელია რომელიმე ქიმიურ სხეულის და განსაკუთრებით მომწამლეულ გაზეთს შედეგებით მისი შემადგენლობის შეტყობა. ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ ძალიან ხშირად სხვა და სხვა ქიმიური ელემენტები ერთნაირად მოქმედებენ როგორც ცოცხალ ორგანიზმზე, ისე ლითონებზედაც. (ნოვ. ვრ.)

ქარელის ხილი

ქარელის ხიდის ბედი სამუდამოდ გადასწყდა ხასიკეთოდ და სასიამოვნოდ შუაველ ქართლისა.

ამ დღეებში მეფის მოადგილის სამხრეთის ჰქონდა კრება, რომელსაც ფინანსთა მინისტრის წარმომადგენლის დროებით აღმასრულებელმა კელარევმა მოახსენა საქართველო ქარელის ხიდისა და მოითხოვა გადაეხდა ხიდის ასაგებად საქართველის სათადარიგო საერობო თანხიდან. საბჭომ შეიწყინა მოხსენება მან კელარევისა და გადასდო ქარელის ხიდის ასაგებად 111,795 მან. 20 კაპ., ანუ თერთმეტი ათას სამამოცდაცხრამეტ თუმან ნახევარი და ერთი აბაზი. დიდის სიამოვნებით და ხალისით ვაუწყებ ამ სასიხარულო ამბავს ქარელს, განსაკუთრებით ფრონელებს, აგრეთვე მათ, ვინც წვლილი გამოიღო ამ საქმისთვის.

ალექსანდრე ყიფშიძე.

არჩევნები ბათუმში

21 ივნისს ბათუმში მოხდა ხმოსანთა არჩევნები. 12 საათზე ქალაქის მოურავმა თავადმა ანდრონიკაშვილმა გახსნა საარჩევნო კრება. საარჩევნო უფლებები ჰქონდა 475 კაცს, გამოცხადდა 205 კაცი 219 საარჩევნო ხმით. ქალაქის მოურავმა წაიკითხა საარჩევნო შედეგები და გამოაცხადა შემდეგი შედეგები: ანდრონიკაშვილი 105 ხმით, მამუკაშვილი 85 ხმით, მამუკაშვილი 85 ხმით.

როგამ წაიკითხა საქალაქო დებულების შესაფერი მუხლები შესახებ არჩევნებისა და შემდეგ წაიკითხა სია იმ ხმოსანთა, რომელთაც კენჭი უნდა ეყარათ.

უფრო დიდიგა 65 კაცმა. არჩევნები დაიწყო 1 ნახ. საათზე და დასრულდა 3 ნახევარზე.

აირჩიეს ხმოსანებად: პ. გ. გიგინეიშვილი, ე. მ. კრინიცი, გ. პ. ნიკიტინი, ა. ო. მდლიანცი, გ. ნ. ანჯაფარიძე, ი. ლ. ავალიანი, ს. გ. მდივანი, ნ. ა. ბიალუსკი, ე. ა. მარტივი, ე. ა. მელია, გ. ლ. ელივა, იურ. მ. ფალავა, ვ. ბუზ-ოლი, გ. ს. სოლორავილი, ს. მ. წურინოვი, ტ. ე. ჩხაიძე, ი. მ. კახიანი, ნ. ს. კავალენკო, მ. კ. აბაკელი, დ. მ. კანდილაშვილი, ე. ლ. ბაბილუა, გ. დ. მაგროშვილი, მ. ლ. ბინიატ-ოლი, კ. ა. გოგოლაძე, ზ. ს. ხიტაროვ-ბესტაშვილი, ნ. ს. ჩხენკელი, გ. ს. თავართქილაძე, ი. გ. ფილიკოვი, მუფთი ზადე-ყაღრი-ფენდი, ნ. ა. საბაშვილი, ა. მ. ზაქარიანი, ა. ს. პეტროსიანი, თავ. მ. მ. ნაკაშიძე, ი. ო. პანასევიჩი, ე. ი. ხორომანსკი, ვ. ვ. გეინი, ნ. ვ. ჯაყელი და პ. დ. სიმონოვი. სულ 41 ხმოსანი.

კანდიდატებად: ვ. ე. ჯედი, ნ. გ. საიპოვი, შ. ი. ცინცაძე, ვ. დ. რუხაძე, ს. ბ. კანტურია, ლ. ი. კაუხიშვილი, შ. ი. ქუცინია და ბ. ა. საბაშვილი.

ჩვენი სმორკვა

შუა ძაბთლი.

ყარაგაჯისა, სასირეთისა და გრაკალის სოფლის გლეხები ყოველ წლებით სთესენ 600 დესეტინა მიწას „აშურთანში“, რომელიც მდებარეობს მტკვრის მარცხენა მხარეს. ერთად ერთ გაზს გლეხებმა სათავის წარმოადგენს რკინის გაზის ხიდი სოფელ გრაკალში, რომლითაც სოფლები მუდამ დაუბრკოლებლად სარგებლობდნენ. ესლა კი, იმის დაწყების შემდეგ, ამ ხილზე სიარული სოფლებზე აუკრძალა რკინის გაზის ადმინისტრაციამ. რაღა თქმა უნდა, ასეთმა განკარგულებამ დიდს განსაცდელში ჩააგდო გლეხები, მით უფრო, რომ წყალდიდობისა გამო მტკვარში ურბით გასვლაზე ლაპარაკი არც კი შეიძლება, ყანები კი იღუპება. ამიტომ ხსენებული სოფლის გლეხებმა თხოვნით მიმართეს თბილისის გუბერნატორს, რომ მან იშუამდგომლოს საცა ჯერ არს-ყანების ასაღებად გაუშვან გლეხები ხილზე. თუ ამ თხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებელი იქნება, იმ შემთხვევაში გლეხები თხოულობენ საერობო თანხით ბორონი გაკეთდეს, რისთვისაც გლეხები საკმაო მუშებს უფასოდ გამოიყვანენ.

ლ. ლევანიძე.

გზრია. საზოგადოების ნდობით აღჭურვილმა და პროვინციაში მოღვაწემ ჯვარცხმის ორ-კლასიან სკოლის ზედამხედველმა და საურთიერთო ნდომის ბანკის ხაზინადარმა ს. კანაშვილმა თავი მოიკლა. ჯვარცხმის საზოგადოებას ეჭვი შეეპარა, იქნებ ფული იქმნა ბანკში გაფლანგული და მისი სიკვდილი მან გამოიწვია. მოწვეულ იქმნა კრება საკრედიტო ბანკის ანგარიშების გადასათვალერებლად. აღმოჩნდა, რომ ფული მართლად გაფლანგულია, მხოლოდ არ არის გამოკრეველი თუ ვისგან.

საქმის ნამდვილ ვითარებას ახლო მობავალში გამოავსარავებენ.

ს. დიდი-ჯიხანიში. შიმშილობა თანდათან ფართო ხასიათს იღებს. ხალხს დიდი გასაკვირი მოეღის.

ახალსენაში. ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ ზუგდიდისა და სენაკის მაზრის დამწველთათვის დასარგებლად ორი ვაგონი სიმინდი გამოაგზავნა. წინააღმდეგობის მიხედვით 22 ივნისს სიმინდი მცხოვრებთა შორის გაანაწილეს. ახალსენაკის ინტელიგენციის კრებაზე გადაწყდა დაარსდეს დრამატული საზოგადოება. შეიმუშავეს წესდება და ამ დღეებში დასამტკიცებლად გუბერნატორს წარედგინება.

აქაურ მცხოვრებთა შორის წელს ძალიან ნაკლებმა დაიჭირა პარკის ქია. ფუთი პარკი თერთმეტ მანეთიდან თოთხმეტ მანეთამდე აყიდება.

ოჯაი დაჭრილი

ქალ. ნოვოჩერკასკში მოთავსებულ ქართველ დაჭრილ მებრძოლთა სია.

1. კიკვაძე ვასილ ონისიმეს ძე, სოფ. ფარცხანაყანევის, ქუთაისის მაზრის მცხოვრები. დაჭრილია მარცხენა მხარში ტყვიით. მისამართი: სათავად-აზნაუო ლაზარეთი.

2. აბუაშვილი ივანე მიხეილის ძე, სოფ. ნიარბაზევის, გორის მაზრის მცხოვრები. დაჭრილია ტყვიით მარცხენა ხელში. მისამართი: ლაზარეთი № 3.

3. ზორგუაშვილი გიორგი ივანეს ძე, სოფ. ლესისა, გორის მაზრის მცხოვრები. დაჭრილია ტყვიით მარცხენა ხელში. მისამართი: დროებითი საერობო ლაზარეთი.

4. კიკვაძე გრიგოლ ანტონის ძე ქუთაისის მცხოვრები. დაჭრილია შრანელის ნატეხით მარცხენა ხელში. მისამართი: ლაზარეთი რეალურ სასწავლებელში.

5. ტიტინიძე დიონისი სოლომონის ძე, სოფ. არადეთის, გორის მაზრის მცხოვრები. დაჭრილია ტყვიით მარცხენა ხელში. მისამართი იგივე.

6. ყორაშვილი იაკობ ალექსანდრეს ძე, სოფ. ლივოვის, ლეჩხუმის მაზრის მცხოვრები. დაჭრილია შრანელის ნატეხით მარცხენა ხელში. მისამართი იგივე.

7. პასკაშვილი ვასილი ზაქარიას ძე, სოფ. მანავის სართიქალის მცხოვრები. დაჭრილია ტყვიით მარცხენა ხელში. მისამართი იგივე.

8. გვახავა ილარიონ (ბარდა) თეიმურაზის ძე, დაბა აბაშის მცხოვრები. დაჭრილია ტყვიით და შრანელის ნატეხით მარჯვენა ხელში. მისამართი: დონის ექიმთა საზოგადოების ლაზარეთი.

9. ჯაფარიძე ნიკოლოზ დავითის ძე, სოფ. კიკვაძეთის, ქუთაისის მაზრის მცხოვრები. დაჭრილია შრანელის ნატეხით მარჯვენა ხელში. მისამართი იგივე.

10. მახათაძე ალექსანდრე ანტონის ძე, სოფ. ითხვისის შორაპნის მაზრის მცხოვრები. დაჭრილია ტყვიით მარცხენა ხელში. მისამართი: ლაზარეთი რეალურ სასწავლებელში.

11. გასიაშვილი ონისიმე ზურაბის ძე, ოსი, სოფ. ჯვრისის, გორის მაზრის მცხოვრები. დაჭრილია ტყვიით მარცხენა ხელში. მისამართი: ლაზარეთი ვაჟთა გიმნაზიაში.

დონის პოლიტექნიკუმის ქართველ სტუდენტთა.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო ზანუაშვილი

ქანეთის რკინის გზის მიმოსვლა

თბილისიდან ვადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

თბილისიდან ვადის:

თბილისიდან	8 ს. 13 წ. დილ.
ნავთლულ-ამიერ-კავ.	8 " 40 " "
ნავთლულ-კახეთ.	8 " 58 " "
ვაზიანიდან	10 " 06 " "
ივრიდან	21 " 15 " "
საგარეჯოდან	11 " 58 " "
ბაღდათიდან	12 " 56 " "
მელანიდან	2 ს. 16 წ. საღ.
გურჯაანიდან	3 " 37 " "
კარდენახიდან	4 " 12 " "
წნორის-წყალზე	4 " 44 " "

გურჯაანიდან-თელავამდე № 7.

გურჯაანიდან	3 ს. 43 წ. საღ.
ვანახაიანიდან	4 " 32 " "
თელავში	5 " 27 " "

თბილისიდან მოდის:

წნორის-წყლიდან	8 ს. 58 წ. დილ.
კარდენახიდან	9 " 41 " "
გურჯაანიდან	10 " 24 " "
მელანიდან	11 " 39 " "
ბაღდათიდან	12 " 59 " დღ.
საგარეჯოდან	2 " 80 " "
ივრიდან	2 " 50 " "
ვაზიანიდან	3 " 55 " "
ნავთლულ-კახეთ.	4 " 58 " "
ნავთლულ-ამიერ-კავ.	5 " 13 " "
თბილისში	5 " 28 " "

თელავიდან-გურჯაანამდე № 8.

თელავიდან	8 ს. 54 წ. დილ.
ვანახაიანიდან	9 " 25 " "
გურჯაანში	10 " 07 " "

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3 ბაქოდან	12 ს. 54 წ. დღ.
№ 4 ბათომიდან	5 ს. 55 წ. საღ.
№ 5 ბაქოდან (სწრაფი)	7 ს. 41 წ. საღ.
№ 10 ბათომიდან	9 ს. 51 წ. დილ.
ჯულფიდან	6 ს. 53 წ. დილ.
ბორჯომიდან	7 ს. 25 წ. დილ.

თბილისიდან ვადის:

№ 3 ბათომისკენ	1 ს. 45 წ. დღ.
№ 4 ბაქოსკენ	7 ს. 3 წ. საღ.
№ 6 ბაქოს (სწრაფი)	12 ს. 8 წ. დღ.
№ 9 ბათომისკენ	8 ს. 53 წ. საღ.
ჯულფისკენ	10 ს. 23 წ. საღ.
ბორჯომისკენ	3 ს. 29 წ. დღ.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი ავთიაკი

პროვიზორის ახვედნიანისა. 25—26

„ახალი სიტუა“ („НОВАЯ РЪЧЬ“).

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.
გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნი; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში. (წ.—16)

მეხილეთა ამხანაგობა
„მ ა რ თ ლ ი“
„ქართლის“ კომპარტიულ მაღაზიაში (ძველი სემინარიის შენობა) ყოველდღე ჩამოდის ახალი ხილი ამხანაგობის წევრებისაგან. მსურველთ შეუძლიან შეიძინონ ყოველნაირი ხილი იაფად.

თავისი გრეფილი
ამ. პეგველიძე
პუშკინის ქუჩა, საკუთ. ხან. № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაზარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. ხან. № 7. ტელეფონი № 712.
ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მამულაშვილი-შვიტი“, სამრეწველობიდან ახალი ქვირითის ხიზალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშინი“ ხიზილა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხა, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.